

შპს აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტში სამეცნიერო ნაშრომებში პლაგიატის გამოვლენის და მასზე რეაგირების წესი

1. ზოგადი დებულებები

1.1 წინამდებარე დოკუმენტი განსაზღვრავს უნივერსიტეტში პლაგიატის შესახებ ინფორმირებულობის, პლაგიატის პრევენციის, აღმოჩენის მექანიზმებისა და რეაგირების პროცედურებს.

1.2 არსებული წესი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს უნივერსიტეტში სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის პროცესში აკადემიური ეთიკის - ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვას, საერთაშორისო სამეცნიერო სტანდარტების დანერგვას, პასუხისმგებლობის ფორმების დამკვიდრებას, რათა დაცულ იქნას აკადემიური კეთილსინდისიერება, უნივერსიტეტის რეპუტაცია და პრესტიჟი.

2. რეგულირების სფერო

2.1 რეგულაციების მოთხოვნები ვრცელდება უნივერსიტეტში დასაქმებულ სამეცნიერო-საგანმანათლებლო ფუნქციის განმახორციელებელ პერსონალზე, რომელიც თავისი სამსახურებრივი საქმიანობის ფარგლებში უფლებამოსილია, განახორციელოს სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის შექმნა და გასაჯაროება ან/და გამოქვეყნება, ასევე დოქტორანტებზე/მაგისტრანტებზე რომლებიც სასწავლო პროგრამის ფარგლებში უფლებამოსილი არიან განახორციელონ სამეცნიერო-კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობის შედეგად მიღებული პროდუქტის შექმნა და გასაჯაროება ან/და გამოქვეყნება.

3. ტერმინთა განსაზღვრებები, პლაგიატის სახეები და ფორმები

3.1 **პლაგიატი** - გულისხმობს სხვის მიერ გამოქვეყნებული ნაშრომის ან მისი ნაწილის (ან გამოუქვეყნებელი ნაშრომის ან მისი ნაწილის, რომელზეც მტკიცდება ავტორობა, მათ შორის გამოქვეყნებული ან გამოუქვეყნებელი /მათ შორის დაცვის მიზნით მომზადებული, წარმოდგენილი სადისერტაციო ნაშრომი/ თეორიების, ცნებების, მონაცემთა წყარო მასალების, სახელმძღვანელოების, მეთოდოლოგიების ან დასკვნების, გრაფიკების, გამოსახულებების და სხვა), როგორც საკუთარის წარმოდგენას და გამოყენებას, ავტორის/წყაროს შესაბამისი მითითების გარეშე.

3.2 **კომპილაცია** - გულისხმობს საავტორო უფლებით დაცული, სხვის მიერ მიღებული კვლევითი შედეგების, ნაშრომების გამოყენებას, დაჯგუფებას, წყაროების საკუთარი დამუშავების და ინტერპრეტაციის გარეშე ნაშრომის შექმნით.

3.3 ფაბრიკაცია/ფალსიფიკაცია - გულისხმობს ნაშრომში მონაცემების ცვლილებას, მონაცემებით მანიპულირებას, მიღებული შედეგების შერჩევითად გამოყენებას, წყაროების, შედეგების ან მეთოდოლოგიის, გრაფიკებისა და გამოსახულებებისა ჩათვლით, შესაბამისი აღნიშვნის გარეშე - რაც იწვევს შედეგებისა და დასკვნების არასწორ ინტერპრეტაციას.

3.4 თვითპლაგიატი - გულისხმობს საკუთარი ნაშრომის განმეორებით გამოყენებას ორიგინალური წყაროს მიუთითებლად.

3.5 პლაგიატის ფორმები:

3.5.1 პირდაპირი პლაგიატი - სხვისი ინტელექტუალური შრომის შედეგის, ტექსტის, იდეის, კონცეფციის, ვიზუალური ან აუდიო მასალის, ნებისმიერი სახის მონაცემების გამოყენება და გავრცელება ავტორის მითითების გარეშე;

3.5.2 პერიფრაზირებული პლაგიატი - სხვისი აზრის საკუთარი სიტყვებით გადმოცემა ავტორის მითითების გარეშე;

3.5.3 მოზაიკური პლაგიატი - სხვადასხვა წყაროებიდან აღებული მოსაზრებების იმგვარი გაერთიანება, როდესაც ცალკეული ავტორი მითითებული არ არის;

3.5.4 პლაგიატი დაუდევრობით - არასწორი ციტირება დაუდევრობის გამო;

3.5.5 საავტორო უფლებების დარღვევა - სხვისი ნამუშევრის გამოყენება საავტორო უფლებების მოპოვების გარეშე;

3.5.6 პირველწყაროს ტექსტის მცირედი, „კოსმეტიკური“ ცვლილებები (მაგალითად, რამდენიმე სიტყვის ან წინადადების წყობის შეცვლა თუ აზრი იგივეა) ავტორის მითითების გარეშე;

3.5.7 გამოუქვეყნებელი მასალის (სტუდენტის ნაშრომი, ბლოგი, ლექციის ჩანაწერები, კონსპექტი, ლექცია, ზეპირი სიტყვა და სხვა) გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე;

3.5.8 ვებ გვერდის, ფილმის, სატელევიზიო გადაცემის და სხვა გამოყენება ავტორის/წყაროს მითითების გარეშე;

3.5.9 საყოველთაოდ ცნობილი „ზოგადი ცოდნის“ გამოყენება-გავრცელება პლაგიატი არ არის და წყაროს მითითებას არ საჭიროებს.

აგრეთვე, სადოქტორო/სამაგისტრო სამეცნიერო-კვლევით პროექტში/ნაშრომში არ შეიძლება პლაგიატად ჩაითვალოს დაწესებულებების, სახელმწიფო ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების, ნორმატიული სამართლებრივი აქტების დასახელებები, კანონიდან ამონარიდი; გამოყენებული ლიტერატურის ჩამონათვალი; მყარი სიტყვათშეთანხმებები, დარგობრივი ტერმინები, ტექსტის კორექტული ციტირება, დოკუმენტებიდან ამონარიდი მათი გაანალიზების მიზნით, თვითციტირება და სხვ.

მუხლი 4. პლაგიატის შესახებ ინფორმირება

4.1 უნივერსიტეტის საგანმანათლებლო პროგრამები ითვალისწინებს სავალდებულო სასწავლო კურსებს, რომლებიც მოიცავს აკადემიური კეთილსინდისიერების საკითხებს.

4.2 უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალში პლაგიატის შესახებ ინფორმირება ხდება

წინამდებარე წესის მეშვეობით, რომელიც ხელმისაწვდომია ვებ-გვერდზე და ხელშეკრულების გაფორმების მომენტში სავალდებულოდ გასაცნობი დოკუმენტია.

მუხლი 5. პლაგიატის პრევენცია

5.1 პლაგიატის შესახებ პრევენცია მოიცავს რამდენიმე ასპექტს:

5.1.1 სტუდენტი სასწავლო ხელშეკრულების გაფორმებისას ხელს აწერს პლაგიატის შესახებ საინფორმაციო დოკუმენტს;

5.1.2 სტუდენტების თვითშეგნების ამაღლება ხდება აკადემიური წერის კურსის ფარგლებში;

5.1.3 საინფორმაციო შეხვედრების მოწყობა პლაგიატის თემაზე;

5.1.4 პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში სანქციების შესახებ ინფორმაციული კამპანიის წარმოება;

5.1.4. სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალისათვის პლაგიატის აღმოჩენის პროგრამაში ტექსტების შემოწმების შესაძლებლობების შესახებ საჯარო შეხვედრების მოწყობა;

5.2 უნივერსიტეტში შექმნილი ყველა სამაგისტრო, სადოქტორო ნაშრომი, ჟურნალებში გამოსაქვეყნებელი სტატიები, მონოგრაფიები, სავალდებულო წესით მოწმდება ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამაში;

5.3 უნივერსიტეტის ვებგვერდზე არსებობს პლაგიატთან და აკადემიურ კეთილსინდისიერებასთან დაკავშირებით საინფორმაციო ველი სადაც განთავსებულია უნივერსიტეტის შიდა მარეგულირებელი დოკუმენტები, საინფორმაციო ხასიათის ვიდეო ან ტექსტური მასალა და სხვა.

მუხლი 6. პლაგიატის აღმოჩენის მექანიზმები

6.1 პლაგიატის აღმოჩენის ძირითადი მექანიზმია ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის დასკვნა პლაგიატის აღმოჩენის შესახებ, რომელიც ეფუძნება ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზს.

6.2. ნაშრომის ხელმძღვანელი, რეცენზენტი და შემოწმებაზე პასუხისმგებელი სხვა პირი, ვალდებულია ნაშრომი გადაამოწმოს ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამით მოპოვებული ინფორმაციის ანალიზის მეშვეობით შემდეგი მიმართულებებით:

6.6.1 ნაშრომის ტექსტის დამთხვევის შემთხვევაში სქოლიოში მითითებული ლიტერატურის შედარება შესაბამის ტექსტთან/თავებთან/პარაგრაფებთან/აბზაცებთან;

6.6.2 თემასთან დაკავშირებით არსებულ ძირითად ლიტერატურასთან, რომელიც არ არის მითითებული სქოლიოში;

6.3 ანტიპლაგიატის ელექტრონული პროგრამაში მასალის გადამოწმებას უზრუნველყოფს სამეცნიერო კვლევებისა და სტრატეგიული განვითარების სამსახური /ფაკულტეტი

მუხლი 7. პლაგიატის საქმის წარმოების წესი:

7.1 პლაგიატზე სავალდებულო შემოწმებას ექვემდებარება: უნივერსიტეტის ეგიდით გამომავალი, როგორც სამეცნიერო ჟურნალებში გამოქვეყნებული/გამოსაქვეყნებლად მომზადებული სამეცნიერო სტატიები, გამოქვეყნებული თუ გამოსაქვეყნებლად მომზადებული სახელმძღვანელოები და მონოგრაფიები, შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტები, რის თაობაზეც ავტორი ავსებს შესაბამის ფორმას. დანართი 1 აგრეთვე, საჯარო დაცვისათვის წარდგენილი სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომები;

7.2. ნაშრომის შემოწმება ხორციელდება მას შემდეგ, რაც ავტორი წარმოადგენს ნაშრომს და განაცხადს იმის შესახებ, რომ წარმოდგენილი ნაშრომი არ შეიცავს პლაგიატის ელემენტებს, ორიგინალურია, სხვა ავტორთა მოსაზრებები მითითებულია დადგენილი წესით, კვლევის მეთოდების გამოყენებისას დაცულია ეთიკის ნორმები.

7.3 საკვალიფიკაციო (სადოქტორო, სამაგისტრო) ნაშრომი:

7.3.1 ანტიპლაგიატის მიზნით ელექტრონულ შემოწმებას ექვემდებარება მას შემდეგ, რაც ხელმძღვანელი წერილობითი ფორმით დაადასტურებს ნაშრომზე მუშაობის დასრულებას;

7.3.2 ანტიპლაგიატის მიზნით ელექტრონულ შემოწმების შედეგები შემდგომი ანალიზისათვის გადაეცემა ხელმძღვანელს, რომელიც ამოწმებს პლაგიატის არსებობის შესაძლებლობას. სამაგისტრო ნაშრომი იმავე მიზნით გადაეცემა დეკანის მიერ განსაზღვრულ, დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე აკადემიური ან მოწვეული პერსონალის წარმომადგენელს. სადოქტორო ნაშრომი კი - რეცენზენტებს. ანალიზის შედეგები აისახება დასკვნის შესაბამისი ფორმაში. დანართი 2

7.3.3 დადებითი დასკვნის არსებობის შემთხვევაში ნაშრომი გადაეცემა საჯარო დაცვისათვის.

7.4. წარდგენილი ნაშრომის ანტიპლაგიატით შემოწმებისთვის დადგენილია შემდეგი ვადები:

7.4.1. შესრულებულ სამეცნიერო-კვლევით პროექტებზე/ სამაგისტრო ნაშრომებზე - არაუმეტეს 10 სამუშაო დღისა;

7.4.2 სადოქტორო ნაშრომზე - არაუმეტეს 30 სამუშაო დღისა;

7.5 ანტიპლაგიატით შემოწმებისთვის ნაშრომები ბარდება ელექტრონული სახით „Microsoft Office Word“ ფორმატით.

7.6 ნაშრომი ორიგინალურად მიიჩნევა, თუ ის აკმაყოფილებს შემდეგ კრიტერიუმებს: 7.6.1 ნაშრომ შესრულებულია აკადემიური ეთიკის ნორმების დაცვით;

7.6.2 ნაშრომში დაცულია არის მითითების სათანადო წესი.

7.6.3 ნაშრომი წარმოადგენს ავტორის ორიგინალურ ტექსტს;

7.7 თუ ნაშრომი არ კმაყოფილებს მე-7.6 პუნქტით დადგენილ მოთხოვნებს, მიიღება უარყოფითი გადაწყვეტილება მისი დაცვაზე დაშვების/გამოქვეყნების თაობაზე,

7.8. ნაშრომი, რომელმაც გაიარა შემოწმება ანტიპლაგიატის სისტემით და სათანადო ანალიზის შედეგად მიიღო უარყოფითი შეფასება (ანუ არ იქნა მიჩნეული ორიგინალურად), შეიძლება ხელახლა გადამუშავდეს ავტორის მიერ არაუმეტეს ერთი თვის ვადაში, რაც თავის მხრივ არ გამორიცხავს დისციპლინური ზომების გატარებას.

7.9 თუ განმეორებითი შემოწმებისას შეფასება კვლავ უარყოფითია, ნაშრომი დაცვაზე/გამოსაქვეყნებლად არ დაიშვება.

7.10 თუ ავტორი არ ეთანხმება ანტიპლაგიატის სისტემის მონაცემების ანალიზის შედეგად მიღებულ უარყოფით შეფასებას, პლაგიატის არსებობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია.

7.11 ანტიპლაგიატით შემოწმების ოქმი, ასევე ექსპერტთა დასკვნები (საექსპერტო შემოწმების შემთხვევაში), სამეცნიერო ხელმძღვანელის/რეცენზენტის დასკვნა ინახება სადოქტორო/სამაგისტრო ნაშრომთან, EEU-ში შესრულებული სამეცნიერო-კვლევით პროექტთან/ნაშრომთან ერთად.

მუხლი 8. აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია

8.1 სამეცნიერო სტატიების, გამოსაქვეყნებლად მომზადებული სახელმძღვანელოებისა და მონოგრაფიების, სადოქტორო დისერტაციების/სამაგისტრო ნაშრომების, შესრულებული სამეცნიერო-კვლევითი პროექტებში პლაგიატის არსებობის თაობაზე ავტორსა და ხელმძღვანელის ან/და რეცენზენტ(ებ)ის დასკვნებს შორის განსხვავებული პოზიციის არსებობის შემთხვევაში, განსხვავებული პოზიციების დადგენიდან არაუგვიანეს 15 დღის ვადაში იქმნება „აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისია“, რომლის შემადგენლობა მტკიცდება, უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელთა წარდგინებით.

8.2 კომისია შესაძლებელია შედგებოდეს უნივერსიტეტის ფაკულტეტების საგანმანათლებლო-სამეცნიერო ერთეულების წარმომადგენლებისა და შესაბამისი დარგის (მათ შორის შესაძლებელია უცხოელი) დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირებისაგან.

8.3 კომისია, როგორც წესი, უნდა შედგებოდეს არანაკლებ 3 წევრისაგან.

8.4 კომისიის მუშაობისას კონკრეტული საკითხების გადაწყვეტის მიზნით, საჭიროების შემთხვევაში, თავისი კომპეტენტური აზრის დასაფიქსირებლად კომისიის მიერ შესაძლებელია, დამატებით მოწვეული იქნას შესაბამისი დარგის ექსპერტი.

8.5 კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს პირი (დაინტერესებული პირი), რომელსაც მონაწილეობა აქვს მიღებული ორიგინალი ან სადავო ნაშრომის შექმნაში, პირი რომელიც შესაძლო დამრღვევის ან ორიგინალი ნაშრომის ავტორის ახლო ნათესავია ან განმცხადებელი ანდა განმცხადებლის ახლო ნათესავია.

8.6 კომისია უფლებამოსილია, საჭიროების შემთხვევაში, განმცხადებლისაგან მიიღოს დამატებით წერილობით ინფორმაცია იმ გარემოებების შესახებ, რომელიც განსაზღვრავს დარღვევის შინაარსს, რაც განმცხადებლის მიერ გადმოცემული უნდა იყოს შესაბამისი შინაარსობრივი შედარებებისა და ანალიზის გზით.

8.7. კომისიის საქმიანობა აისახება კომისიის დასკვნაში. იხ. დანართი 3

8.8 აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენმა კომისიამ უნდა განსაზღვროს შემდეგი:

8.8.1 ნაშრომი არ შეიცავს ტექსტის დიდი ფრაგმენტებს, იდენტიფიცირებულს სისტემის მიერ, როგორც მსგავსს, სათანადო ციტირების გარეშე;

8.8.2 მითითებულია ყველა სათანადო წყარო.

8.8.3 არ არის დეტალური მსგავსება სამეცნიერო ნაშრომსა და ნასესხებ წყაროს შორის. ამ შემთხვევაში ნაშრომი დაიშვება შემდეგი პროცედურების გავლაზე და კომისია ამზადებს დასკვნას.

8.9. კომისიის დასკვნა ძალაში შედის მისი კომისიის წევრთა არანაკლებ 3/4-ის ხელმოწერის შემთხვევაში. კომისიის განსხვავებული აზრის მქონე წევრი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, ვალდებულია განსხვავებული აზრი დასკვნის შედგენიდან 2 დღის ვადაში კომისიას წარუდგინოს წერილობით, პირადად ხელმოწერილი, კომისიის დასკვნაზე დართვის მიზნით. კომისიის წევრის წერილობით ჩამოყალიბებული განსხვავებული აზრი წარმოადგენს კომისიის დასკვნის განუყოფელ ნაწილს.

8.10. კომისიის დასკვნა ეგზავნება უნივერსიტეტის რექტორს გადაწყვეტილების მიღების მიზნით.

8.11. კომისიის დასკვნის შესახებ ინფორმაცია ეცნობება მოთხოვნის დამრღვევ პირს, ასევე საქმესთან დაკავშირებულ სხვა პირებს (კვლევის პროექტის სპონსორს, პროექტზე მომუშავე ჯგუფის სხვა წევრებს და ა.შ.).

8.12. კომისიის წევრი ვალდებულია დაიცვას კონფიდენციალობის პრინციპი და არ გაამჟღავნოს ინფორმაცია კომისიის მუშაობის დასრულებამდე.

8.13 კომისიის მუშაობის ის პროცედურები, რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე წესით, შესაძლებელია დადგინდეს უშუალოდ კომისიის მიერ (მათ შორის კომისიის წერილობითი გადაწყვეტილების სახით).

მუხლი 9. პლაგიატის დადასტურება და შესაბამისი სანქცია

დოქტორანტი/მაგისტრანტი და აკადემიური პერსონალისათვის

9.1 დარღვევის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში, ნაშრომის შედეგების გაუქმებასთან ერთად, დარღვევის სიმძიმის გათვალისწინებით, შეიძლება განისაზღვროს შემდეგი დისციპლინური სანქციები:

9.1.1 მიეცეს გაფრთხილება;

9.1.2 დაწესდეს სპეციალური მონიტორინგი მომავალ საქმიანობაზე;

9.1.3. შეუწყდეს სტუდენტის სტატუსი (დოქტორანტი/მაგისტრანტი შემთხვევაში).

9.1.4. განთავისუფლდეს აკადემიური თანამდებობიდან;

9.1.5.საკვალიფიკაციო ნაშრომში პლაგიატის აღმოჩენის შემთხვევაში უნივერსიტეტი უფლებამოსილია ჩამოართვას უკვე მინიჭებული აკადემიური ხარისხი.

9.2. კვლევითი კომპონენტის ხელმეორედ გასავლელად მაგისტრანტი/დოქტორანტი .

განმეორებით გადის რეგისტრაციას მომდევნო სემესტრში.

მუხლი 10. გასაჩივრება

10.1.პლაგიატის ფაქტის დადასტურების შემთხვევაში შესაბამისი გადაწყვეტილება შესაძლებელია გასაჩივრდეს წარმომადგენლობით საბჭოში გადაწყვეტილების გამოტანიდან 15 დღის ვადაში.

10.2. გასაჩივრება შესაძლებელია, თუ დამრღვევი პირი წარმოადგენს დარგის სპეციალისტის (შიდა ან გარე პროფესორი) მიერ წარმოდგენილ დასკვნას ნაშრომში პლაგიატის არარსებობის შესახებ.

10.3 საჩივრის განხილვა ხდება წარმომადგენლობით საბჭოზე საჩივრის შეტანიდან 15 დღის ვადაში.

10.4 საჩივრის განხილვაზე მოიწვევა დამრღვევი პირი და საქმის განხილვაში მონაწილე ყველა პირი.

10.5 წარმომადგენლობით საბჭოზე განხილვა ხდება მხარეთა პოზიციების მოსმენით.

10.6.წარმომადგენლობითი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს დამსწრე პირთა უმრავლესობით მაგრამ არანაკლებ სიითი შემადგენლობის ნახევარისა.

10.7. წარმომადგენლობითი საბჭოს გადაწყვეტილება საბოლოოა და მისი გასაჩივრება შესაძლებელია მხოლოდ სასამართლოში.

მუხლი 11. დასკვნითი დებულებები

11.1 აღნიშნულ წესში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

11.2 უნივერსიტეტის სტუდენტები და პერსონალი ვალდებული არიან გაეცნონ წინამდებარე წესს, ხოლო ადმინისტრაცია ვალდებულია დოკუმენტი განათავსოს ვებგვერდზე.

11.3 წინამდებარე წესი ძალას კარგავს ახლის დამტკიცების შემთხვევაში.

**განცხადება
სამეცნიერო ნაშრომის ავტორი**

სამეცნიერო ნაშრომის ავტორის/ავტორების სახელი და გვარი, სამუშაო ადგილი, წოდება, ელექტრონული ფოსტის მისამართი, ტელეფონი.

ვადასტურებ, რომ სამეცნიერო ნაშრომი _____

- 1) მომზადებულია ჩემ მიერ და იგი:
- ა) არ არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს საავტორო უფლებების შესახებ კანონმდებლობის შესაბამისად.
 - ბ) სრულად და ნაწილობრივ არ არის გამოყენებული მონოგრაფიები ჩემს ან სხვა ნებისმიერი პირის მიერ სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად.
 - გ) ვაცხადებ, რომ ჩემს მიერ შესამოწმებლად წარმოდგენილი ნაშრომის ელექტრონული და ნაბეჭდი ვერსიები ემთხვევა ერთმანეთს.

თარიღი

ხელმოწერა

ნაშრომის ხელმძღვანელის, რეცენზენტის დასკვნა პლაგიატის თაობაზე

საგანმანათლებლო პროგრამა ----- -----		
სტუდენტის სახელი, გვარი -----	ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების სახელი, გვარი -----	
ნაშრომის სათაური ----- ----- -----		
კრიტერიუმები	დადებითი	უარყოფითი
ნაშრომი შესრულებულია აკადემიური ეტიკის ნორმების დაცვით		
ნაშრომში დაცულია მითითების სათანადო წესი		
ნაშრომი წარმოადგენს ავტორის ორიგინალურ ნამუშევარს		

შენიშვნები

.....

.....

.....

.....

.....

ნაშრომი* არ შეიცავს პლაგიატს. როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნაშრომში* გამოვლენილია სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებული, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილი მასალების გამოყენება, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

* ნაშრომი პლაგიატზე მოწმდება პროგრამა შესაბამისი ელექტრონული სისტემით

ნაშრომი (გვ.)	წყარო

- სამაგისტრო ნაშრომი არ არის მზად რეცენზირებისთვის და საჯარო დაცვისთვის*
* იმ შემთხვევაში თუ ნაშრომი მოცემული კრიტერიუმებიდან თუნდაც ერთ-ერთთან მიმართებაში შეფასებულია უარყოფითად ან/და მასში დგინდება პლაგიატი.
- სამაგისტრო ნაშრომი არის მზად რეცენზირებისთვის და საჯარო დაცვისთვის*
* იმ შემთხვევაში თუ ნაშრომი ყველა მოცემულ კრიტერიუმთან მიმართებაში შეფასებულია დადებითად და მასში არ დგინდება პლაგიატი.

ხელმოწერა

თარიღი

აკადემიური ეთიკის დარღვევის დამდგენი კომისიის
დასკვნა

გავეცანი (თ) რა, ანტიპლაგიატის ელექტრონულ პროგრამის მეშვეობით პლაგიატზე შემოწმების შედეგებს

ავტორი _____

სპეციალობა _____

ნაშრომის სახელწოდება _____

ვამტკიცებთ :

- ნაშრომში გამოვლენილი მსგავსება უმნიშვნელოა და არ შეიცავს პლაგიატს. ამრიგად, ნაშრომი დამოუკიდებელია და მიიღება დაცვაზე.
- გამოვლენილია იდეებისა და გამოგონებების გააზრებული მითვისება, ტექსტების მსგავსება, რაც არღვევს მესამე პირთა საავტორო უფლებებს. ნაშრომი შეიცავს პლაგიატს და არ დაიშვება შემდგომ დაცვაზე.
- სამეცნიერო ნაშრომი შეიცავს ტექსტურ დამახინჯებებს, როგორც მსგავსების დაფარვის სავარაუდო მცდელობას. ამრიგად, ნაშრომი არ დაიშვება გამოსაქვეყნებლად.
- დადასტურება:

1. კომისიის თავმჯდომარე: _____

2. კომისიის წევრი _____

3. კომისიის წევრი _____

თარიღი